ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი № 3

ქ. ახმეტა | 26 იანვარი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა: გელა ჯუგაშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: თ. წითელაური, ი.უჯირაული, ნ.ღუბიანური
რ.ბაღაკაშვილი, დ.მურთაზაშვილი,თ.ყეინიშვილი
გ.ქიტესაშვილი, გ.უძილაური, გ.მაისურაძე,
მ.ალხანაშვილი

სხდომა გაიხსნა $11^{00}$ საათზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარე გელა ჯუგაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

/მომხსენებელი - ა.ბუღრიძე/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

/მომხსენებელი - თ.ქარუმაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელმა გააცნო 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი დამსწრე წევრებს:

I. ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი შეადგენს 7624.6 ათ. ლარს მათ შორის:

1. გადასახადების ოდენობა შეადგენს 2100.0 ათ. ლარს
   - ა) საშემოსავლო გადასახადის ოდენობა შეადგენს 630.0 ათ. ლარს
   - ბ) საწარმოთა ქონების გადასახადი შეადგენს 970.0 ათ. ლარს
   - გ) სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადი 464,0 ათ. ლარი
   - დ) არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადი 36.0 ათ. ლარი
2. შემოსავლები გრანტებიდან შეადგენს 4677, 6 ათ. ლარს მათ შორის:
   - ა) გათანაბრებითი ტრანსფერი 4547,6 ათ. ლარს
   - ბ) მიზნობრივი ტრანსფერი 130.0 ათ. ლარს
3. სხვა შემოსავლების ოდენობა შეადგენს 647.0 ათ. ლარს
   - ა) შემოსავალი ბანკის % -დან 27,0 ათ. ლარი
   - ბ) მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის 300,0 ათ. ლარი
   - გ) შემოსავალი მიწის იჯარიდან 130.0 ათ. ლარი
   - დ) სანებართვო მოსაკრებელი 10.0 ათ. ლარს
   - ე) მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის 20.0 ათ. ლარს
   - ვ) შემოსავალი ჯარიმებიდან და სანქციებიდან 160.0 ათ. ლარი
4. არაფინანსური აქტივების კლება შეადგენს 200.0 ათ. ლარს

II. ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილში გათვალისწინებულია 9457,0 ათ. ლარი , საიდანაც მიმდინარე წლის შემოსავლებით შეადგენს- 7624,6 ათ. ლარს, ხოლო ნაშთი 01,01,2017 წლისათვის 1832,4 ათ. ლარს, მათ შორს: 1141,1 ათ. ლარი ადგილობრივი ბიუჯეტით, ხოლო 691,3 ათ. ლარი ცენტრალური ბიუჯეტის.

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯი შეადგენს 488.0 ათ. ლარს
   მათ შორის:
   ა) შრომის ანაზღაურება 342, 0 ათ. ლარს,
   აქედან პრემია და დანამატი 0 ლარი
   ბ) საქონელი და მომსახურება 145,0 ათ. ლარს, აქედან
   - შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 13,2 ათ.
   - მივლინება 7,2 ათ. ლარს
   - წარმომადგენლობითი ხარჯი 5,5 ათ. ლარს
   - ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი 28.4 ათ. ლარს
2. მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯი შეადგენს 1380.4 ათ. ლარს
   მათ შორის:
   ა) შრომის ანაზღაურება 935,0 ათ. ლარს აქედან,
   - პრემია დანამატი 0 ლარი

   ბ) საქონელი და მომსახურება 328.0 ათ. ლარს აქედან,

   - შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 40,5 ათ. ლარს
   - მივლინება 17,6 ათ. ლარს
   - წარმომადგენლობითი ხარჯი 31.5 ათ. ლარს

- ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი 81,4 ათ. ლარს
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი 68,3 ათ. ლარს

გ) არაფინანსური აქტივების ზრდა 105,0 ათ. ლარს (მუნიციპალიტეტის შენობის , ოჟიოს ამბულატორიის და დუისის ყოფილი მეურნეობის შენობის სარემონტო სამუშაოებისთვის),

დ) ვალდებულებების კლება -6,8 ათ. ლარს( გასული წლის ვალდებულებების დასაფარად)

3. სარეზერვო ფონდის ოდენობა შეადგენს 81.0 ათ. ლარს
4. შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები 6,2 ათ, ლარს
5. სასამართლოების მიერ დაკისრებული ხარჯები 4,5 ათ. ლარს
6. სამხედრო სამსახურის ხარჯები 75.0 ათ. ლარს
   მათ შორის:
   ა)შრომის ანაზღაურება 61.8 ათ. ლარს აქედან
   - პრემია , დანამატი - 5,2 ათ. ლარს
   ბ)საქონელი და მომსახურება 13,2 ათ. ლარს
7. ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის ხარჯებისათვის გათვალისწინებულია 2710,3 ათ. ლარი მათ შორის: 677,8 ათ. ლარი ცენტრალური ბიუჯეტის (გასული წლების ვალდებულებების დასაფარად ) 2032,5 ათ. ლარი ადგილობრივი ბიუჯეტით მათ შორის:

   ა) გზების მშენებლობა, მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქციაზე 1085,5 ათ.
   მათ შორის: ცენტრალური ბიუჯეტის - 464,6 ათ. ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის 620,4 ათ. ლარი აქედან,
   - ჯოყოლო-დუმასტურის გზა- 3,4 ათ. ლარი ( ძველი ვალდებულების კლება),
   - საკობიანოში რკინა-ბეტონის დიუკერისა და შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია - 30,0 ათ. ლარი,
   - სოფ. ბირკიანში რკინა-ბეტონის ხიდის მოწყობა- 15,0 ათ. ლარი,
   - საბეროში რკინა-ბეტონის ხიდის მოწყობა– 15,0 ათ. ლარი,
   - თუშეთში , წოვათის ხიდის მოწყობა - 60,0 ათ. ლარი,
   - სოფ. მატანში ბეტონის გზის მოწყობა - 30,0 ათ. ლარი,
   - მუნიციპალიტეტის მასშტაბით შიდა გზების მოხრეშვა და ორმული შეკეთებები - 146,4 ათ. ლარი
   - შახვეტილა-ჭართალის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია- 25,0 ათ. ლარი,
   - თუშეთისა და ტბათანის გზების რეაბილიტაცია - 95,6 ათ. ლარი
   - ცენტრალური ბიუჯეტით დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება - 200,0 ათ. ლარი.

   ბ) ბინათმშენებლობაზე 245,7 ათ. ლარი . მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტის თანხა - 5,7 ათ. ლარი(ძველი ვალდებულება) , ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის - 240,0 ათ. ლარი. აქედან,
   - სოფ. კასრისწყალში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია- 200,0 ათ. ლარი,
   - მრავალბინიანი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის -40,0 ათ. ლარი

   გ) წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია 255,3 ათ. ლარი.მათ შორის : ცენტრალური ბიუჯეტის 80,2 ათ. ლარი , საიდანაც 61,6 ათ. ლარი ვალდებულებიც კლება,ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის 175,1 ათ. ლარი . აქედან, საქონელი და მომსახურებაა 30,0 ათ. ლარი . არაფინანსური აქტივების ზრდა 145,1 ათ. ლარი. მათ შორის:
   - ძველი ვალდებულებების კლება - 6,3 ათ. ლარი,
   - სოფ. მატნის სასმელი წყლის თანადაფინანსება - 23,8 ათ. ლარი,
   - სოფლების ჭაბურღილების ენერგო სისტემების მოწყობა და რეგიონალური პროექტების თანადაფინანსება - 115,0 ათ. ლარი

   დ) სარწყავი არხები და ნაპირსამაგრები 55,3 ათ. ლარი.მათ შორის: ცენტრალური ბიუჯეტის თანხა- 20,3 ათ. ლარი (ძველი ვალდებულებების კლება) , ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის 35,0 ათ. ლარი

   ე) გარე განათების რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია 150,0 ათ. ლარი. მათ შორის:
   - საქონელი და მომსახურება (ელექტრო ენერგიის ხარჯი ) 140,0 ათ. ლარი,
   - არაფინანსური აქტივების ზრდა ( გარე განათების მოწყობა) 10,0 ათ. ლარი

ვ) დასუფთავების ღონისძიებები 15,0 ათ. ლარი ( არაფინანსური აქტივების ზრდა)

ზ) სანიაღვრე არხების მოწყობა 10,0 ათ. ლარი ( არაფინანსური აქტივების ზრდა)

თ) ხევების გაწმენდა 20,0 ათ. ლარი ( არაფინანსური აქტივების ზრდა)

ი) სპეცტექნიკის შეძენა, რემონტი 30,0 ათ. ლარი ( არაფინანსური აქტივების ზრდა) ტექნიკის სარემონტო სამუშაოებისთვის.

კ) სკვერების, ბორდიურების , დასასვენებლი ბაღებისა და მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა და რეაბილიტაცია - 115,0 ათ. ლარი მათ შორის:

- საქონელი და მომსახურება - 10,0 ათ. ლარი,
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 105,0 ათ. ლარი. აქედან,
  - ქ. ახმეტაში სკვერების მოწყობა - 90.0 ათ. ლარი,
  - ხარების ეკლესიის შემოღობვა სოფ. ზ. ხოდაშენში 15,0 ათ. ლარი

ლ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 107,0 ათ. ლარი ( არაფინანსური აქტივების ზრდა)

მ ) ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი- 260,0 ათ. ლარი (სუბსიდია)

ნ) ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური- 362,0 ათ. ლარი (სუბსიდია)

8. განათლების მთლიანი ხარჯები შეადგენს 1711,5 ათ. ლარს. მათ შორის: ცენტრალური ბიუჯეტის 9,2 ათ. ლარს ( გასული წლის ვალდებულება ) ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის 1702,3 ათ. ლარს. აქედან , არა ფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 232,3 ათ. ლარს , საიდანაც დაფინანსება ხდება შემდეგ ობიექტებზე:
   - წინუბნის საბავშვო ბაღი- 0,8 ათ. ლარი (გასული წლის ვალდებულება )
   - შახვეტილის საბავშვო ბაღი - 35,5 ათ. ლარი ( გასული წლის ვალდებულება)
   - ზ. ალვნის ორი საბავშვო ბაღის სახურავის რეაბ. – 50,0 ათ. ლარი
   - ქორეთის ყოფილი სკოლის შენობის რეაბილიტაცია - 20,0 ათ. ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდა)
   - საბავშვო ბაღების სუბსიდირება - 1420,0 ათ. ლარი
   - მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების და რეგიონალური პროექტების თანადაფინანსებისთვის - 126,0 ათ. ლარი
9. კულტურა, რელიგია , ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის ხარჯებისთვის გათვალისწინებულია 2228,3 ათ. ლარი. აქედან, არაფინანსური აქტივების ზრდა - 539,4 ათ. ლარი

   ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება 5,0 ათ. ლარი

   ბ) სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა 459,4 ათ. ლარი. მათ შორის:

   - ქ. ახმეტაში ჟალურის უნბის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია- 70,0 ათ. ლარი
   - სოფ. მაღრაანის სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა - 50,0 ათ. ლარი
   - სოფ. ახშნის მინი სპორტული მოედანის მოწყობა - 35,0 ათ. ლარი
   - შახვეტილას მინი სტადიონის მოწყობა - 5,0 ათ. ლარი
   - ქვ. ალვნის სპორტული შენობის რეაბილიტაცია - 50,0 ათ. ლარი
   - ზ. ალვანში სატრენაჟორო დარბაზის მოწყობა - 30,0 ათ. ლარი
   - სოფ. მატნის სპორტკომპლექსის თანადაფინანსება - 215,0 ათ. ლარი.

   გ) სპორტული სკოლების დაფინანსება 581,5 ათ. ლარი

   დ) ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი 450,0 ათ. ლარი სუბსიდია)

   ე) სახელოვნებო სკოლები 345,0 ათ. ლარი

   ვ) საინფორმაციო ცენტრი 37,0 ათ.

ზ) ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება 37,0 ათ. ლარი

თ) ა(ა)იპ დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია 120,0 ათ. ლარი

ი) ა(ა)იპ ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრი 175,4 ათ. ლარი

10. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები გათვალისწინებულია 821,4 ათ. ლარი მათ შორის:
ა) ჯანდაცვის პროგრამები 75,6 ათ. ლარი
ბ) ავადმყოფთა მკურნალობა 230,0 ათ. ლარი
გ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება 112,3 ათ. ლარი
დ) სტიქიით დაზარალებულთა სოციალური დაცვა 20,0 ათ. ლარი
ე) მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურება 18,0 ათ. ლარი
ზ) ომის ვეტერანთა ხარჯები 4,5 ათ. ლარი
თ) უმწეოთა უფასო სასადილოს დაფინანსება 291,0 ათ.ლარი
ი) თუშეთის მოსახლეობის ავიარეისებით მომსახურების ხარჯი 70,0 ათ. ლარი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის გასვლას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო ნორმატიული აქტის პროექტი ბიუროს წევრებს:

---აღნიშნული პროგრამით კვლავ გრძელდება ჩვენი მუნიციპალიტეტის იმ მოსახლეობის დახმარება, რომლებიც ჯანმრთელობის თუ ეკონომიური მდგომარეობის გამო საჭიროებენ დახმარებას. 2017 წლის ბიუჯეტი 498.500 ლარითაა განსაზღვრული. თანხა გადანაწილდა პრიორიტეტების მიხედვით, რომლებზეც სტატისტიკურად უფრო მეტი საჭიროება დადგინდა განცხადებების ოდენობისა და სამიზნე ჯგუფების გათვალისწინებით.

---მრავალშვილიანი ოჯახების დაფინანსების წესში შევიდა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა, რომ დადგენილების მოქმედება არ გავრცელდება მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებზე, მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებზე, რომელთაც აღნიშნული პროგრამის შესაბამისად ეძლევათ ფულადი დახმარება. ახალშობილთა ოჯახების დახმარების სამიზნე ჯგუფი დაკონკრეტდა ზემოაღნიშნული სახელმწიფო პროგრამის გათვალისწინებით.

---ეკონომიურად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მკურნალობისას მოქალაქის მიერ გადასახდელი თანხის დაფინანსების ზღვარი 500 ლარიდან შემცირდა 300 ლარამდე;

---ომის ვეტერანთა სადღესასწაულო დახმარება გაიზარდა და გახდა 250 ლარი;

---უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი გაიზარდა 250 ლარამდე;

---თუშეთში მუდმივად და სეზონურად მცხოვრებთათვის მედიკამენტების დაფინანსება გაიზარდა 3000 ლარამდე;

---უფასო კვების ობიექტის დაფინანსება გაიზარდა 136 000 ლარამდე;

---უსინათლოთა ერთჯერადი დახმარება გაიზარდა და გახდა 150 ლარი;

2017 წლის სოციალური დახმარების პროგრამაში ასახვა ჰპოვა სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამამ, რომლის გათვალისწინებითაც ბავშვთა სახლში, მცირე საოჯახო ტიპის სახლში და მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი ოჯახს ერთჯერადად გაუწევს დახმარებას 500 ლარით. სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვალისწინებით წლევანდელი პროგრამისთვის ასევე სიახლეს წარმოადგენს დაუნის სინდრომის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარება 150 ლარის ოდენობით. დახმარების გაცემა მოხდება დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისათვის (21 მარტი).

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ბიუროს სხდომა დაიხურა $11^{50}$ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: გელა ჯუგაშვილი